

ლიტერატურული განცემი

№59 30 სეპტემბერი - 13 ოქტომბერი 2011

გამოცემის თრ კვირაში ერთხელ, პარასკევის

ფასი 50 თეთრი

გივი ალხაზიშვილი

მაშინდელი გრძელდება ამეყო

ცა გადაივლის,
ეს ქედებიც გადაივლიან,
თავის მეგზური გაუჩნდება მთების ქარავანს..
მე კი წავედი
და აქ ჩემი ლანდი დავტოვე,
მე სხვის სიზმარში გამეღვიძა და აქ არა ვარ.

ცა გადაივლის,
მერამდენედ გადაიარა?!
მოვლენ მკვდრები და იტირებენ,
რომ ეს ქვეყანა უნუგეშოდ გადაირია;
წამოიწყებენ ახალ ცხოვრებას,
შეუდგებიან კვდომას ხელახლა
და იმავე სისხლს გააღვიძებენ,
უთვალავჯერ რომ ბალახს შეახმა.

სამხრეთისაკენ წადი, იარე
და უდაბნოში შენი იარა
გაჩვენებს მირაჟს ათასფეროვანს,
და რასაც შენ გრძნობ, სულის სიღრმეა,
ამოუთქმელი არაფერია...

...აი, ეს ბავშვი, კუბიკებით
ანბანს რომ აწყობს,
დაშლის და აწყობს, —
ის მეორდება,
ქვიშაზე რომ წერდა და შლიდა
და მაშინდელი გრძელდება აწმყო...

თვალზე ვიფარებ ხელისგულებს და ვიმალები,
თურმე იმიტომ,
რომ გამოვჩნდე უფრო მკაფიოდ
და სინათლიდნ გამოვაწნო ასო-ნიშნები,
გულისცემას რომ ინახავენ და გამოსცემენ,
და უცნობების თვალნინ
მარცალ-მარცვალ ვიშლები.

ველარ ვპოულობ თავმისადრეკს
და ცას ავხედავ,
სან ფრინველი ვარ
მზერის ფრთებით გადაფრენილი,
აპა, რა ვიცი, მერამდენე საუკუნეა,
გზააბნეული ვეხეტები აპასფერივით,
გზა არ მთავრდება, ნაბიჯებიც ვერ გამოვლივ
და არც იწყება და მთავრდება ალარაფერი...

IV-V





აგს. უცნაური კი იყო, მარტო შავები რატომ ეცვა ამ მხიარულ ქალს.

ერთიონაცი

ფოტო მახსოვეს. ცოლ-ქმარი და ბავშვი ბარაკის წინ იდგნენ. თან წერილი ერთოვოდა აფხაზეთის მთავრობის სახელზე — ჩხოროწყვიში ვცხოვრობდით, მშობლებმა სახლიდან გამოგვყარეს და იქნებ, სადმე ერთი ოთახი გამოიყიდოთ.

ვინც წაიკითხა ყველას შეეცოდა, სან-ყლები, შუა ქუჩაში დარჩენილან, იქნებ, მართლა უშოვონ სადმე ერთი ოთახი.

მაშინ ვერავინ წარმოიდგნდა, რომ ორი დღე წლის მერე, თავადაც იგივე გაუხდებოდათ სანატრელი, მთავრობის მიერ გამოყოფილი ერთი ოთახი.

დავის კაცის მოლის მონაყოლი

რო დღე ჯავრით არ მეძინა. მერე შევერიბე ბიძაშვილები და გავედით ტყე-ში. სადმე აქ იქნება, რა პატარა ის არის, დაიმაღლოს-მეთქი. სამი დღე და ღამე ვა-ბორიალეთ. მეოთხე დღეს დავინახეთ, ხე-ები დაეგლიჯა და ერთმანეთზე აწყობდა მოზომილად, ადამიანი რომ დააწყობს ისე. გამოგვიდით და მეტი არც დაგვჭირვებია, გამოვცვიდით სუსტელანი, ერთმანეთს გამოვსანარით. მეორე დღეს ჩამომაკითხა სოფელში. ბავშვივით ამიყვანა და დამაგ-დო მინაზე. წერები ჩამტვრეული მქონდა, სამი თვე არც ავმდგარვარ ლოგინიდან.

რუსულის კაპინეტის ფაჯარა

რა ეტაკათ, დღემდე არ ვიცი, ალბათ დაგინებული თუ ჰერინდათ. მეშვიდე კლას-ში ვიქებოდი, უცნაური მოდა შემოვიდა სკოლაში. ბიჭები მეოთხე სართულის ფან-ჯარაზე რამდენიმე წუთით უნდა ჩამოკ-იდებულიყნენ, თან მოწმეების თანხ-ლებით. მოწმეები ისევ საკუთარი ძმაკაცე-ბი იყვნენ. საათს დაინაშავდნენ და დრო რომ გავიდოდა, ამოათრევდნენ ფან-ჯარაზე გადაეკიდებულს. აქეთ ესენი იწურებოდნენ სიმწრის ოფლში, იქით-ის. რომ ჩავარდნილიყავი, სული არ დაგყვე-ბოდა მინაზე.

დღემდე მახსოვეს ჩემი გაოცება. შევე-დი საკლასო ოთახში და ჩემი თანაკლასე-ლი ფანჯარაზე ჰერიდა. დავადექი თავზე, ჩაგაბი, რას შერები-მეთქი. იმას კიდევ ჩემი თავი არა აქვს, უანგიან უალუშსაა ჩა-ბდაუჭებული. გამოვბრუნდი უკან.

მეორე დღეს გავიხედე, ახლა სხვაა ჩამოკიდებული.

ათასამდე მოსწავლე იყო სკოლაში, ასამდე მასწავლებელი თუ ჰედკოლექ-ტივის სხვა წევრი, მეზობლები, მშობლები... — არადა, დღისით, მზისით ბავშვები ფან-ჯრებზე ეკიდნენ და ვერავნ მჩჩევდა.

ხანდახან აფხაზეთზე რომ ვფიქრობ, ასე მგონია, ვყელაზე ახლიერება ადამი-ანებმა ჰერიში გამოგვიდეს და არც ფან-ჯრის იქით, არც აქეთ დრო არ გადის.

დავის კაცის მონაყოლი

ერთხელაც მესმის, ძალი იყეფება. ვე-ებერთელა ძალი მყავდა, ნაგაზი. გა-ვიხედე და შემოსულა ეს გონჯი. პირდა-

პირ სახლისკენ მოდის. გადმოვიდე თოფი და ვდგავარ. მოგლიჯა ძალი რკინის ჯაჭვიდან, მოუგრისა თავი, მოიგდო ზურგ-ზე და გაბრუნდა უკან. რომ გადიოდა, შე-მომხედა და სულ რამდენიმე სიტყვა თქვა: მეორედ რომ მოვალ, შენს ცოლს წავიყ-ვანო. ცხოველი იყო ლაპარაკობდა, ნახ-ევრად ღმუილით, მაგრამ კარგად გავიგე, ეს თქვა.

გარიას თოასი

ბათუს სახლში აფხაზები რომ შესა-ლენი, რამდენიმე წელი ისე იცხოვრეს, არაფერი შეუცვლიათ. ყველაზე პატარა ორი წლის მარია იყო, ხუჭუჭა და ლამაზი გოგო. თოჯინი ბით თამაში უყვარდა, ბევრსაც ჩუქუნდნენ. თორმეტი წლის რომ გახდა, სათამაშობის ტყვა აღარ იყო სახ-ლში. მამამისმა ბათუს დატოვებული პატ-არა თოასი გაარემონტა მათ შესანახად. ყვავილებინი შპალერი გადააკარა, კედლე-ბზე თაროები გააკეთა და მარიას თოჯინებით აავსო.

იმ დღეს მოკვდა ბათუ, სულ სხვა ქალაქში და სულ სხვა სახლში.

დავის კაცის ცოლის მონაყოლი

ძალი იყეფებოდა, მე და ბავშვები ეზოში ვიყავით. შემოვიდა დევა, დაწვდა ამ ძალლს და მოუგრისა კისრი. ჩემი ქმარი თოფით დაგა ასვანზე, ფერი არ ადევს. მი-უბრუნდა ეს ნადირი და უკანზე, მეორედ რომ მოვალ, შენს შეილებს წავიყვანო. ცხ-ოველი იყო ლაპარაკობდა, ღმუილით, მა-გრამ კარგად გავიგე, ეს თქვა.

ჩორხა

ჩორნას და ეთერა მამიდას სურათე-ბიდან ვიცნობდი. ერთმანეთთან არაფერ შუაში იყვნენ, მაგრამ ორივეს სახელი

პირზე ეკერათ ჩემებს. მამიდა ძალიან ლამაზი ყოფილა და ახალგაზრდა მომკვ-დარა კიბოსგან. ჩორნა ჩვეულებრივი ეზოს ძალი იყო, მხიარული. ვილაცამ გაზის ბალონი მოიტანა მომიტანი უსვრია. დალი მოკვდა და რომ მიჰონდა, მამს უთხრა, ხომ ჩაგაფსმევინე შიშისგანო. ცხოველი ლაპარაკობდა, ღმუილით, მაგრამ კარ-გად გავიგე, ეს თქვა.

დავის კაცის შვილის მონაყოლი

ეზოში ვითამაშობდით მე და ჩემი და. უცებ ჭიშარი გაიღო და დევი შემოვიდა. დედა მოგვევარდა, უკან წაგვათრია ორივე. ჯულბარსა გადარეულივით ყეფდა. მამამ თოფი გამოიტანა. ვფიქრობიდი, ახლა ის-ვრის-მეთქი, მაგრამ არ უსვრია. ძალლი მოკვდა და რომ მიჰონდა, მამს უთხრა, ხომ ჩაგაფსმევინე შიშისგანო. ცხოველი ლა-პარაკობდა, ღმუილით, მაგრამ კარ-გად გადაგდინდა აავსო.

ჩვენი ძალლი

ჩორნა ერქვა ამასაც. არ იყო მაინცდ-ამაინც შავი, მაგრამ ძველი ჩორნას ხათრით დაარქეს. ყმუოდა ჩვენი ძალლი. ძალლის ყმუილმა სიკედილი იცისო. შენ რომ შეგცოდებოდა, მეზობელი მოგთხოვ-და გადაგდებას. კატასავით ცხრა სიცოცხ-ლე აღმოჩენდა ჩორნას. რამდენჯერმე გადაგდო ბებიაჩემა მდინარეში. ხნ ყუ-თში სვამდა, ხან პირმოკრულ ტომარაში. გავიხედავდით, უკან დაბრუნდებოდა, გა-ნუნული და გახარებული. ალბათ ეგონა, შემაქებენ, რომ გადავრჩიო. ერთხელაც გადაგდო და ჭიშარი ლია დატოვა გაბეჭრებულმა. ალარ დაბრუნდებულა ჩორნა.

ხანდახან შეიძლება მოგეჩენოს, რომ



მშობლების, ბებია-ბაბუის და სხვა უამრავი ნათესავის მიუხედავად, ყველაზე მეტად საკუთარ ძალლ დაემსგავს.

დავის კაცის მონაყოლი

ჩაის რომ დაისხამ და აღარ დალევ, ისიც დაგვინძება კაცს. ბავშვი ვიყავი, სან-ადიოროდ წამიყვანა მამაჩემბი. კლდებში გავათენეთ, დილით გავიღვძები, ამოდის მზი წითელად, იქვე ორი ქორი დაფინანსება... სანამ არ დავიძარით, ვიდექი და ვუყურები. სახლში რომ ჩამოვედით, მამს ვკითხე, ჩვენ რომ უკან ჩამოვბრუნდით, ხვალ ვინ-და დაინახავ იმ მზის ამოსვლას-მეთქი. არავინ, ვინ უნდა დაინახოს, მანდ მარტო ქორები არიანო. დამენანა. რომ გაიგიზარდე მერ ხშირად ავდიოდი, სანამ დევი გადა-მეკიდებოდა. ახლა სათვალავი ამერია, რამდენჯერ გათენდა მარტო ქორების დასანახად.

აპალონის ძალლი

აპალონი ერთადერთი აფხაზი იყო მე-ზობლებში, ისიც გააფხაზებული ქართვე-ლი. როდესაც მოკვდა, მისი ძალლი კარგ-ბში ჩანვა და სანამ გაასვენებდონენ, ცრემ-ლები მოსდიოდა. აპოლონის მარტო ეს მახსოვეს, ყველა ვინც გადიოდა და გამო-დიოდა, იძახდა, ძალლი ტირისო.

ლერი და პიზი

ლერი გრძელფეხება კოპლებიანი ძალ-ლი იყო, რალაცით ფრანგულის მასწავ-ლებელს ჰეგადა დილით გავიღვძები, ბიმი — თეთრი, დაბალი. ალარ მახსოვეს, შეიძლება ყურზეც ჰეკონდა ლაქა.

ზორო

რაუნდოდა ზოროს სოხუმში. მეცხვარე ძალლი, ვეებერთელა და ცისფერთვალე-ბა. ყეფა არ იცოდა, ცხვარი იქ არ იყო და ბატყანი. ვირთხებზე ნადირობა უყვარდა. დაიჭერდა და მოვარდებოდა გახარებული. ამ დროს უნდა მიმხვდარიყავი და შეგეექო.

ერთხელაც დაიკარგა ზორი. ვეებერთ და ვერ ვიპოვეთ, არც თავისით დაბრუნდებულა. ამხელა ძალლის როგორ მოიპარავდ-ენ, ალბათ ენინა რალაც და წავიდოთ, გამ-ბობდით. რას გაიგინ, რა ენინა ძალლის.

ხანდახან მგონია, ჩემი ქუჩის შესავ-ლებლში თუ დავდექი, ყველა ძალლი, რომელიც მყავდა, ერთად ნამო-ვარდება და დაიყეფებს.

სიცოდულესა და ხსოვნას შორის

მომწყურდა სუნთქვა კამერულ ლექსის
და წყურვილს გაბმულ ნატვრას ვაბრალებ,
ვზი, მნარედ ჩავლილ დღეების ლექში
და ვახელ თვალებს — დარდის ნაპრალებს...

შენი სხეული სავსე სიახლით,
სურნელს აფრქვევს და სურვილს ამძაფრებს
და ვიდრე მოველ, თვითონ მენახლე
და წუთის სიღრმე კოცნით ამზაპნე.

იყო უცნობი და თან ნაცნობი
შეუცნობლობის ხმობა სიღრმიდან
და შამპანურის სეველი საცობი
და თვალი — თვალში თვალს რომ მიყრიდა...

ის აქვე იდგა, მისი აჩრდილი
ოთახს ტოვებდა
და სინამდვილეს
და ხსოვნას შორის ვიყავ გაჩრილი
და გულში, შენ რომ მოინადირე.

გამვლელი

ისედაც ხომ შენით ვსუნთქავ,
შენ მარსებებ,
აქ, ლანდიც ხომ კარგავს კონტურს,
ისე დედდება —
ის გუბავა, ცალთვალაა და ცას აპყურებს,
ისე მღერის,
ანარეკლიც არ ახსენდება...

...დასაბამს ეძებს, რომ სასრულს მიწვდეს,
თურმე, სადაც დასაბამია, იქ სასრულია..
ნეტარია, დაბადებამდე ვინც უკვე იყო...

ხედავ, შენი მონაფეები სხვის ყანაში
ბავშვებივით ჩამომსხდარან,
თავთავებს ფშენიან ხელისგულზე,
მარცვალ-მარცვალ ნაყრდებიან,
დუმილს ჰურივით ინაწილებენ.

მალე მოვლენ პატრონები,
ყანას ისე დაიბრუნებენ, როგორ წართმეულს,
გულით ბრმები ვერას ხედავენ,
იქიდნ ხომ ცარიელი მოვიდნენ და
აქედანაც ცარიელი გაბრუნდებიან...

არის სინათლე მხოლოდ შენში,
შენსკენ ვიზრდები,
გაშლი მკლავებს მცენარესავით
და ჩემს სიტყვებში ცის ფრინველები
ფრთხეს შეარხევენ
და ხმას საღამოს ააყოლებენ.

გამვლელი ვარ.
მე ვარ ეს გზა,
საკუთარ თავს თვითონ გავივლი.

ოლონდ შენ დარჩი,
გვიანია,
ნუ მიგვატოვებ...



გივი ალხაზიშვილი

შემოვიდოდა, ბოსტნის სუნი შემოჰყვებოდა,
შემოდგამდა მაგიდაზე გაქეებილ ჩანთას
და მწვანილს ყიდდა მოხუცი ქალი...

მეათე დღეა აქეთ აღარ გამოჩენილა...
თქვეს: ავადაა,
აქმდე ლამის გოგგალს ართავდა,
ახლა დუმს და თავის პარკს იქსოვს.

ფუთი გრძელდება

ხელის გაწვდენაც არ მჭირდება,
ისე ჩემთან ხარ
და ზოგჯერ,
როცა მიმიტინებებ და თავს მახსენებ,
ეს გული ლამის გამელია,
მე დაგეთანხმებ,
რომ შენით ვსუნთქავ
და შენს ქებნას ვერ დავეხსენი.

დადგა ივნისი,
ცაცხის სუნი ჰაერს ამჩატებს
და სეველ სილაში აგრძელებინ თამაშს ბავშვები,
მე ვნატრობ ზოგჯერ,
აქ რომ იყო, თუნდაც არ ჩანდე
და გიგრძნო სიტყვით,
მზის ამოსვლით, შენში ჩაშვებით.

თვალი შეავლე,
შეეთვალა ლოყა ალუბალს
და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყები თუ მივდევ თიბათვეს,
ან რა მაუწყა ჩიტმა,
წელი რომ იგალობა,
ვინც გაიგონა, სიხარული დარჩა იმათვე.
რაც არ მთავრდება,
ვეღარავინ ვერ დაასრულებს,
მშვენიერია ყველა წუთი,
როცა ხელახლა
თავს გაგრძნობინებს —
სიყვარულით ხარ დაისრული
და შეგილია შეგრძნებების სიტყვით შენახვა.

გამოღვიძება

...ან რატომ მიკვირს,
სად მიპოვეს,
ან აქ რად დამსვეს ცოცხლად,
თითქოსდა არასოდეს ვყოფილვარ მევდარი...
მე გავლილი მაქვა ეს სიცოცხლე და ის სიკვდილი,
თავის უცნაურ თამაშებით, მზითა და მთვარით.

მადლობელი ვარ,
რადგან სიტყვა შემომაშველე,
მშიბლიურია, იმ მურდალზე ასჯერ სანდოა,
დაბადებიდან შხამს ვინც აგროვებს
და სიძულვილმა რომ ასაზრდოვა.

მე ფურცელ-ფურცელ ვიმოგზაურებ,
და ისე, გამვლელს როგორც შეჰვერის,
ღამით მთვარის და
დღისით მზის სხვი
იქნება ჩემი სანიშნებელი.

და შენ შემინდე, როდესაც სიტყვით
ვეძებ, ვპოულობ, შეგრძნებას ახალს,
ისე, როგორც მე,

შენც ამ მიწაზე
ცოდვა-მადლს შორის ბორძიყით დახვალ.

ყური დამიგდე, მშიერო ძმაო,
რომ დაიღალე და აღარ იცი,
რომ მეტი დარდი არის მიწაზე
შემოსაზღვრული უფრო მყარი ცით...

ჩუმად ვაგრძელებ სხეულის გახდას
და ალბათ, სულ რომ განვიძარცვები,
ამოიხედავს ჩემი გულიდან
ქარით ნათესი ხორბლის მარცვლები,
სადმე ყაუჩიც გამოერევა,
გაუბრნენდება თვალი ნამცვრევი...

ერთსულ...

...თქვენ გიყვართ ის, რაც გატყუებთ, იგი, რაც გწვდებათ და
მოგიცავთ...*

შენ გასცდი ხმაურს,
გაერიდე აქაურობას,
მაგრამ დროდადრო ჩემში ფეთქავ
და მპოულობ შენი პულსივით...

განა შენამდე შორი გზაა,
სულ აქვე ხარ,
ჩემში გხვდები, ასე უხმოდ რომ ვისაუბროთ.

ის დრო, რომელიც გვაახლოებს,
სად ქრება ხოლმე?
ალბათ აქვეა
და მე არ ვიცი, უმიზეზოდ რა არწევს ფარდას
და კანით რად ვგრძნობ შენი სუნთქვის ფრთებს?!

ერთდროულად აქ და იქ ყოფნას
როგორ ახერხებ,
როცა ჩემში ხარ და სხვაგანაც,
სადაც ვერ გწვდება შზერა
და მხოლოდ სულის ძაფი ჩინდება ჩვენს შორის,
რისი დასტურიც შეგრძნებაა,
იგი ცხოვრობს უსიტყვობაში
და თავს ზოგჯერ სიტყვაში ეძებს...

თავის დრო იცის ძეძვის ყვავილმა
და ფუტკარს იკრებს დღისით,
ღამით კი ვარსკელავები დაბზუან ქვეყნიერებას
და ღამის ნექტარს აგროვებენ ბნელი ჩქამები
და ერთმანეთს ინანილებენ
და სივრცებს ცვლიან წვდომისას
და თქვენ გიყვართ ის,
რითაც ყოველთვის თავს იქცევთ და...

დიდება ინსტინქტს,
ურუანტელის ძველისძველ ავტორს,
თავს რომ აკითხებს ნებისმიერს,
ვისაც უყვარს
არა მხოლოდ ტექსტობრივი სიმკვრივეები
და აგრძელებს სხეულის კითხვას.

ისევ წუთის აალვება, აალება და გაელვება.

....
ეს დრო მაინც სხვაგვარია,
როცა შენ გხვდები,



როცა სული იწყებს საუბარს
და შეგრძნების სიღრმე გვამუნჯებს.

აი, ისეთი მშვიდი დროა,
ფარშავანგმა რომ ჩაიარა გალურსულ ბალში,
მარაოსავით გამლილ კუდს რომ თვალი მოვკარი,
როგორც ჩავლილ დროის ფრაგმენტს
და ჩემში დარჩა.

გაბმულია სულის ძაფი
და შეგრძნების ენით ვსაუბრობთ,
და ვაგრძელებთ ერთსულ ყოფნას
და სულ ყოფნას ერთსულ... და უხმოდ...

.....
შინ დაბრუნდა ფრანის დევნით დალლილი ბავშვი,
ცით გადავსებულ თვალს მარიდებს
და სიტყვასაც ვერ პოულობს, ცამ რომ წაართვა...

ყველაფერი ასე დაინტყო ოდესლაც ჩემთვის

და ახლა შენთან შემოვბრუნდი,

რომ გაგახსენ —

უთქმელიბა ბადებს სხვა ენას

და სიტყვები სულით ივსება...

აქ ჩანს ის გზა, რომ არ სრულდება,

ერთმანეთის ფიქრი გვესმის

და უსიტყვოდ ნაგულისხმევი,

ჩვენს ცოდნას რომ აღმატება...

* მარიამის სახარება (არაკანონიკური ტექსტი).

მადლობა, ღმერთო, იმ წლებისთვის, თურმე რომელიც
არ მეკუთვნოდა, მე კი დღემდე ჩემი მეგონა,
მადლობა, ღმერთო, არაფრისთვის, რაც ყველაფრიდან
გადამირჩინე, რა ვიკოდი, ან რა მელონა;
რასაც ვერასდროს შევეხები და წარმოდგენაც
შეუძლებელი არის მისი და რაც ნაკვთებად
აჩნდება სახეს და სიტყვებსაც და იშვიათად,
თვალში კი არა, გამჭვირვალე გულში გაკრთება.

მადლობა, ღმერთო —

ამ წუთისთვის, ამ შეგრძნებისთვის,
ამ დინებისთვის, თანდათან რომ ვტოვებ კალაპოტი,
მე ვერ ავყვები საბრალოებს, ამ წუთისოფელს
რომ შესვენინ საშოვნელად და საალაფოდ.
მადლობა, ღმერთო, იმედისთვის, როცა ბეზრდება
სოფელს სტუმარი, ან პირიქით, სტუმარს სოფელი,
მადლობა, ღმერთო, ეჭვებისთვის, როცა გეძებდი
და მხოლოდ სიტყვა მიწილადე გასაყიფელი.

გურამ სხირტლაძის ხსოვნას

შენ აქ ხარ. ისიც, ვინც აქ არ არი.

ისიც, არასდროს ვინც არ ყოფილა...

უდაბნო მშვიდი და ნაქარალი

და გზაზე, ღრუბლის ჩრდილი ფოფინა

რომ გადაივლის, შენი დარდია,

ის არ ჩაუვლის თვალშინ არავის

და სინამდვილეს, რაც აბადა,

ეს დროა — თავისთავის მპარავი...

ვიღებემდე ცოცხლობ, ეს დრო შენა ხარ

და ყოველივე გივირს თავიდან

და იმ შეგრძნების გიყვარს შენახვა —

უთქმელობაში რომ გადავიდა.

გაღვევა

თითქმის გამსრისა ცარიელი დროის სიმძიმემ,
ერთი სიტყვაც არ დამიტოვა,
ვერ დავემალე გამჭოლ მზერას,
დაჟინებით რომ მიმასოვრებს —
დასავინუყებლად.

თვალს დაგუჭავ და შევავლებ
ჩემში გახსნილ კალეიდოსკოპს,
სადაც ფერადა ფიგურები დაცურავენ
სამუშაოდებად
და რკალებად დაშლილ წრებად
და ვხედავ რგოლებს წარმოსახულ აკვარიუმში,
წარმოსახული ლაყუჩებით რომ ინერება.

მაგრამ მაფიქრებს სისხლის ხსოვნა
და ქვიშაზე ნანერს აღვიდენ
და ჩემი განცდა ნემისის ყუნწში როცა ეტევა,
მოვწყდები სხეულს იმ უხილავ აეროსტატით,
ნებისმიერი სიმძიმე რომ ეზედმეტება...

კველი აღარი

ვთლი კომშს და ვსუნთქავ სურნელს ბიისფერს,
კახურად ვთლი და ვგრძნობ იმერულად,

ჩემ გულისცემას ახლა ვინ ისმენს,
ან თვალს ვინ ამჩნევს, რომ მიმეულა?!

სიჭრელე ახსოვს თვლემის ღრიჭოებს,
უცარ ხილვით გადაგლესილი,
რად ენატრებათ ამ უნიჭოებს,
რომ მომანვდინონ ხმა დაგესლილი?

მაგრამ მე ვუძლებ ამ რეალობას
და სიზმარ-ცხადის ზღვართან კაბები
სურილს და სურნელს აშრიალებენ
სიამით ვნებასაკაფები.

და ყველაფერი, რაც მე გიამბეთ,
ამ ქედ ალბომში თვლემს ფოტოებად
მაგრამ დროს უყვარს ქველი იამბის
და სახეების გამოტოვება.

ამიტომ ლექსშიც გადმოვიტანე
ტანგოს რიტმი და ქროლვა ვალსების
და გოგო, როგორც მკლავზე გიტარა,
მე რომ მიყვარდა მთელი არსებით.

არავინ იცის საიდან მოდის და საით მიდის...
მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი...
.....
ჩვენ ერთმანეთში და ერთმანეთით
ვაჩინთ ცეცხლს და შუქს ვასხივებთ,
მახსოვრები შენი თვალები,


მე შემეშინდა,
ყმაწვილი რომ თვალწინ დაბერდა,
მერე კი სახე იცვალა და ყრმად გადაიქცა.
აი, უმი, ფერს რომ იცვლის,
ერთხელ ჩვენც რომ შეგვიფარებს
და ჩვენს გულში ცა გაიხსნება...

აი, დროის მონაცელეობა მყისიერად გაცხადებული,
რაც იყო და ისევ იქნება.
მას ვერ იხილავს თვალის სინათლე,
ის უხილივი სულია და რად ეკითხები:
— საით მიდიხარ, სივრცის შთამნთქმელო?

ქარი ქრის, სადაც მოისურვებს;
მისი ხმა გესმის,
მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და საით მიდის...

დიდება

მახსოვრები შენი თვალები,
ფიქრიანი თვალები,
გულის ჩქროლვა, მდინარის
ჩქერალს შენადარები
და თვალებში სიტყვები
ღვთისთვის შენათვალები
და წყალობის იმედით
ბერჯერ შენაწყალები...



არა მხოლოდ თვალებიდან,
არამედ სულის სიტყვებიდან,
ნამდერებით როცა ვამბობთ ან გაფიქრებით,
როცა სიტყვებს გული ამოაქვთ
და სუყველას ვუნანილებთ,
იმათაც კი, რომ არ ჩანან,
ყურნი ასხიათ და ისმენენ სულგანაბული.

შენ გაიხსნებ, ვინც დუმილის ბადით შებოჭეს,
სიმუჯით ენა რომ გაუნასკვეს
და იცდიან, ვიდრე მკვდრები გაიღვიძებენ...
ჩვენ გვაცოცხლებს ერთმანეთის წონასწორობა,
ეს პარიც ადსავსეა ჩვენი სიცოცხლის ნამცეცებით —
დუმილში ვთესავთ და ერთმანეთში
და ხმაურს ვიმკით...

ის ხომ არავის განიკითხავს,
არის თავისთვის, შენთვის, სხვებისთვის,
მათვების, ვინც ცდილობს შეინარჩუნოს წონასწორობა
და რიტმს ფეხი ააყოლოს, ანდა პირიქით,
რადგან არ იცი, პირველ ნაბიჯს რითი გადადგამ,
ინგალიდის ეტლის ბორბლით, ჩახლებილ ხმით —
ომის ექის რომ ინახავს,
თუ ალალბედზე გაქცეულ მზერით —
ხის კენწროზე ყვავის ფრიალს რომ აედევნა?!

ნალვლიანი თვალები,

მშვიდი, გაუმწყრალები.

ცონასცორობა

იმ წუთში ვარ,
სულ რომ გადის
და სადაც ქრება ჩემს გარეშე
და ჩემთან ერთად იბადება მემილიონედ...

ასე გრძელდება ესტაფეტა
და ყოველ წუთს
ნასვლა-მოსვლა ანონასწორებს.

შე

არაფერი მაქვს,
გარდა შენი სიყვარულისა,
სამიერე დროის დინებები ერთად მავსებენ,
რა უმიერზოდ ჩემს გარეშები,
როცა ჩემთან ხარ,
და როცა არ ხარ —
არყოფნითაც შენ მაარსებებ...

ბელოა და თუ დღისით ამ საამტროს ხელმძღვანელი შილაა, ლამით აქაურობის „ხაზენი“ მე ვარ. ჩვენ ახლა წავალთ და ა მოსავავე მტრედის ხუნდსაც წავიყვანოს შენ კი ვერაფერს გაბედავ სანინაალმ დევოს.“ ვირთხამ, რომელსაც ვირთხები ცოცხალ კიბეზე პირით მოჰქონდა მტრუდის ასავავებული ხუნდი, ჩამოირბინ სწრაფად, ხუნდიანად გაიშლიგინა და სადღაც გაქრა. მას მაშინვე მოჰყვა (კვალში ჩაუდგა) მომდევნო, ყველაზე უფრო მაღლა მდგომი ვირთხა — ასე ვთქვათ ცოცხალი კიბის ზედა საფეხური. „ზედ საფეხურს“ ასევე კვალში ჩაუდგა მომდევნო — ზევიდან მეორე „საფეხური“ მერე შემდეგი და ასე თანმიმდევრულად ორგანიზებულად, დარაზმულად და, რა მთავარია, სწრაფად იშლებოდა ვირთხების ცოცხალი კიბე; ხოლო „ქვედა საფეხურ რება“ გასაოცარია, მაგრამ აშკარა საფრთხო თხის მიუხედავად, იდგნენ ვაჟაუცურად ადგილზე, ფეხსაც არ იცვლიდნენ და მაკ გრად ჰქონდათ ერთმანეთის ზურგებითა ვიანთი ადამიანის ხელების მსგავსი თათუ კებით ჩაბლუჯული. არ გარბოდა ცოცხალი კიბის ახლოს ნალმივით ჩამჯდარი და საჩეუბრად შემართული ვირთხები „ბრიგადირი“ და იქაურობის ლამეული ბატონ-პატრონი წავერად მწითური და ნახევრად ალბინოსი ვირთხა სახელად ბებერ განდონი.

მე მალე მოვეგე გონს და გრძელ ხის ტარიან ცოცხს დავსტაცე ხელი; შეშინებ



იმ დილით რაზეოდი მაღვე დამტავრდა; კარტოოთეკისა და გვარების სათითოად ამოკითხვის გარეშე გაგვიყვანეს ჟილ ზონიდან და მინისქემა გვირაბით გადა გვიყვანეს პრომზონაში. ციონდა, სუსხიანი დილა იყო და მეც თერმიჩისკენ გავეშურე შილა და იქ მომუშავეები ჯერ არა და თბილი ლუმელი კი მელიოდებოდა. საქმე ის იყო, რომ ლუმელს შიგნიდან ცეცხლგამძლე კედლები ჰქონდა. ის ჰქონდებოდა და მის მიერ გამოყოფილ სითბოს მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევდებოდა, თუმცა ეს მცირედიც საკმარისად ათბობდა იქაურობას. გარდა ამისა, ღამიით თერმოლუმელს ღიას ტროვებდნენ და მისა თონქსავით გახურებული კედლები დილი ამდე ინახავდნენ სითბოს. მე ვცდილობდი თერმიჩაში მომუშავეების მოსვლამდე მომესწრო და გამომეცვალა ტანისამოსის რადგან ეს მათი საამქრო იყო და მე მართალია, მაძლევდნენ თავიანთი გასახლელით სარგებლობის უფლებას, მაგრა მე თვითონ ვცდილობდი, ზედმეტად ფეხებში არ წამოვდებოდი მათ, რადგან უჩემდები უამრავი ჰყავდათ ისეთი, ვინც აწუხებდათ წამდაუწუმ — ზოგს ელექტროკონტაქტებიდან მოპარული ვერცხლი მოჰქონდა გადასაღნობად, ზოგს თვითი ნაკეთი დანის ან საოჯახო ცულის გამონართობა უნდოდა, ზოგს ცხელი წყალს სჭირდებოდა, ზოგს კი უბრალოდ გათბობა და ლაზღანდარობა. მოკლედ, იყვნები შემწუხებლები.

შევიღობნე თერმიჩქაში, თერმიჩკიდადა
გასახდელში და გავოცდი, გავოგნდი და
შევშინდი — არ ვიცი რამდენი, მაგრა
მტრედების საბუდარის ქვეშ ერთმანეთის
ზურგებზე შემდგარიყვნენ დიდრონი ნა
ცრისფერი ვირთხები და ასეთი ხერხით
გაეკეთებინათ ცოცხალი კიბე. ამ კიბით კა
ძირს ჩამოდიოდა კიდევ ერთი ვირთხა
რომელსაც პირით ეჭირა მტრედის პატ
არა მოსავასავე ხუნდი. ვირთხების ცოცხა
ლი კიბის გვერდით იჯდა შეკუმშულით
მყაცრი, საჩუბძრად შემართული, მნიშ
თური და ნახევრად ჭალარა ბებერი გან
დონი, რომელიც შემომყურებდა თავისი
პატარა, შავი, გიმრის მარცვლისებრი
წითელგუგიანი ნახევრად ალბინოსურ
თვალებით და თითქოს მაფრთხილებდა
„შეენ აქ შემოიჭერი დაუკითხავად და
უდრონ დროს, ააქ შენ ამ დროს არაფერ
გესატება, ეს ჯერხნობით ჩენი სამფლონ

ბელოა და თუ დღისით ამ საამქროს ხელმძღვანელი შილაა, ღამით აქაურობი „ხაზენი“ მე ვარ. ჩვენ ახლა წავალთ და ამოსავსავე მტრედის ხუნდსაც წავიყვანთ შენ კი ვერაფერს გაბედავ საწინააღმდეგოს.“ ვირთხამ, რომელსაც ვირთხები ცოცხალ კიბეზე პირით მოჰქონდა მტრედის ასავსავებული ხუნდი, ჩამოირბინ სწრაფად, ხუნდიანად გაიშლიგინა და სადღაც გაქრა. მას მაშინვე მოჰყვა (კვალში ჩაუდგა) მომდევნო, ყველაზე უფრო მაღლა მდგომი ვირთხა — ასე ვთქვათ ცოცხალი კიბის ზედა საფეხური. „ზედ საფეხურს“ ასევე კვალში ჩაუდგა მომდევნო — ზევიდან მეორე „საფეხური“ მერე შემდეგი და ასე თანმიმდევრულად ორგანიზებულად, დარაზმულად და, რა მთავარია, სწრაფად იშლებოდა ვირთხების ცოცხალი კიბი; ხოლო „ქვედა საფეხურები“ გასაოცარია, მაგრამ აშკარა საფრთხის მიუხედავად, იდგნენ ვაჟაუცურა ადგილზე, ფეხსაც არ იცვლიდნენ და მა გრად ჰქონდათ ერთმანეთის ზურგებითა ვიანთი ადამიანის ხელების მსგავსი თათუ კებით ჩაბლუჯული. არ გარბოდა ცოცხალი კიბის ახლოს ნაღმივით ჩამჯდარი და საჩეუბრად შემართული ვირთხები „ბრიგადირი“ და იქაურობის ღამეული ბატონ-პატრონი ნახევრად მწითური და ნახევრად ალბინოსი ვირთხა სახელად ბებერ განდონი.

მე მაღლე მოვეგე გონს და ვრძელ ხის ტარიან ცოცხს დავსტაცე ხელი; შეშინებ

რთულებას შეუცვლის და როგორ
მოძრავ სამიზნეს, ისე გამოგიყენებს. ის
რების აცდენის გაკვეთილები განდონ
სპარსელებისგან არ აეღო, მაგრამ დარტ
ყმებს მაინც დიდი ოსტატობით ირიდებე
და, მას ინსტინქტი კარნახობდა ამას. ჯონ
ის მოქნევის წინ ის ძალიან ჰყავდა პენალ
ტის მოლოდინში გარინდულ მეკარე
ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეკარ
ცდილობს, რამენაირად დაიჭიროს ბურ
თი, ბებერი განდონი კი პირიქით — ცდ
ლობდა, როგორმე დასხლომოდა დარ
ტყმას.

მოკლედ, განდონმა რამდენჯერმე ის
ტატურად აიცდინა ჩემს მიერ მოქნეულ
ჯონი და გასახდელი ოთახიდნ გასხლტ
ამ გასხლტომისასაც შევეცადე, დამედ
ფეხი და ჯონიც ვესროლე, მაგრამ უშედა
გოდ. ცოტა ნის შემდეგ მოსულმა შილდ
კი გინებითა და ვაი-ვიშვიშმ მოისაკლი
რამდენიმე ხუნდი, რომლებიც ვირთხებ
წაეყვანათ ჭაღარა განდონის თაოსნობით
ამ შემთხვევის გამო განდონი თითქოს ა
გადაკიდებია, მაგრამ აი მნითუ
ზედამხედველ მიკოლა-ტარაკანზე პ
სამკვდრო-საციცოცხლოდ იყო გადა
იდებული. ეს მტრობა დაინტყო ასე:

ერთხელ ლამის მთელი ზონა შემსწრე
ნი შეკიენით დაუჯერებელი სცენის
პრომზონის სასადილოს სახურავიდა
ჟილზონის ანუ სამონასტრო კომპლექსის
ერთ-ერთ სახურავამდე, სხვათაშორი
იქაც სასადილო იყო, ოღონდ ჟილზონის

ჰყავს ხუნდი! ასეთ დროს შეიძლება, განა, მაგისი ჩამოგდება?! — და მართლაც ასეთ დროს ალპათ მართლაც უსამართლობა იქნებოდა მისი ჩამოგდება. თუმცა მიკოლამ არად ჩააგდო პატიმართა ნაწილის მონოდება, შეეწყვიტა განდონის ბომბარდირება ქვებით. ის მას მისდევდა და „უხ, პიდარასატ! უხ, პიდარასატ!“ — ის ძახილით ესროდა ქვებს.

განდონი ქვის სროლამ შეაფრთხო —
ის კინალამ ჩამოვარდა მავთულიდან,
როცა რამდენიმე ქვამ ერთდროულად
გაუწეულდა ახლოში, ხოლო ერთი ქვა
მავთულსაც მოხვდა, ძალიან ახლოს, მა-
გრამ მაინც გაართვა თავი და საფრთხე
აირიდა. ის ჯერ ისეთ მანძილზე გასცდა
ტარაკანს, რომ მისი ქეები უკვე აღარ იყო
საჩიში, ხოლო შემდეგ ხომ საერთოდ გავი-
და სამშევიდობოს, როცა ჟილზონის სახურ-
ავს მიაღწია. თუმცა უდალი ტარაკანის
მუხანათური თავდასხმა დაიმახსოვრა და
მას შემდეგ მოსისხლე მტრად მოეკიდა.
ამის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რა დაიწ-

ყო: განდონმა, როგორც ჩანს, სხვა ვირთხებიც აიყოლია და მიკოლა-ტარაკანს, რომ იტყვიან, სიცოცხლე გაუმრაო. უპირველეს ყოვლისა, ის მის საქვეყნოდ (ცნობილ „ტარმაზოკებს“ გადაემტერა. ჯერ ხომ მუსრს ავლებდა და ავლებდა, მაგრამ მუსრის გავლებამდე თავიდან უცურცლიდა მიკოლას ტარმაზოკებში. ამას ალბათ იმიტომ შვრებოდა თავიდან, რომ რომც წაესწროთ და გასაქცევადაც გახდომოდა საქმე, „ტარმაზოკი“ მაინც უნდა წაბილნული დაეტოვებონა. ერთხელ საკიდარზე ჩამოკიდებული მიკოლას კიტელიდან, თითქერის ღილი ხორციანად” მოაჭამა განდონმა, ხოლო ახალთახალ ფურაჟუაში ჩაუფასა. ტარაკანის მცდელობები კი, როგორმე წინ აღდგომოდა განდონის ქმედებებს, დადებით შედეგებს არ იძლეოდა. რა ალარ სცადა ტარაკანმა განდონის სანინააღმდეგოდ — მონამვლა, დაჭერა... თუმცა შედეგი არ ჩანდა. ეს ვკელაფერი სავალალოდ და ხანაც სასაცილოდ სრულდებოდა.

ერთხელ, მაგალითად, ტარაკანმა მოწამლული ძეხვის ნაჭერი დაუდო განდონს. ამ უკანასკნელმა ძეხვს პირიც არ დაკარა, სამაგიეროდ თავად მიკოლამ დაუდევრობით წამლიანი თითი პირში ჩაიდონ და თვითონ მოიწამლა — საშინელი ფაღარათი აუტყვდა, ისეთი, პირდაპირ მეტი რომ არ შეიძლება.

ერთხელ კი მართლა ძალიან სასაცი-
ლო ამბავი შეემთხვა განდონის გადამყიდვ
ტარაკანს. ძუნნი კი იყო, მაგრამ მაინც
გაიღო თურმე, ერთი ალბათ, კილონახე-
ვარი კარგი ჩაი და შემდუღებლებს უშ-
ველებელი გალია-ხაფანგი დამზადებინა.
ამ გალიაში შიგნიდან იკიდებოდა სა-
ტყუარა და გალიაში შესული ვირთხუც წა-
ეტანებოდა თუ არა სატყუარას, გალია
მაშინვე უნდა დახურულიყო. ასეთი ხარ-
ჯი მიკოლამ იმიტომ გაიღო, რომ ჯერ
ერთი, მისი თქმით, უბრალო სათავური
განდონს ვერ იჭერდა, მეორეც, მას ისე
ამოსვლოდა განდონის აბუჩად აგდებანი
ყელში, რომ უკვე აღარ ანყობდა მკვდარი
განდონი. მისი თქმით, მას განდონი ცოცხ-
ლად სურდა შეეპყრო, რათა შემდეგ ცოცხ-
ლად დაეწვა ან დაეხრჩო. ამისთვის
მიკოლამ ერთდროულად რამდენიმე
„ძვირფას“ სატყუარა ჩამოუკიდა ვირთხ-
ას, თავის ახლად შედუღებულ გალია-
ხაფანგში. ესენი იყო: მშვენიერი უკრაინუ-
ლი შინაურული ლორი და ძეხვი, გამდნარი
ყველი, შემწვარი თევზი, ნიგოზი, ჰური,
ჰალვა და სხვა. შემდეგ გალია-ხაფანგი
სათუთად შედგა კიბის ქვეშ ღრმად და ზედ
რაღაცებიც მიაფარა. ხაფანგის დაგება
პარასკევს დაამთხვია, რადგან პრომზონა
ორშაბათამდე დაკეტილი უნდა ყოფილ-
იყო. ორშაბათ დილით პრაპორში კების

— ხლომცი, — აყვირდა ამის შემხედვარები, — მიკოლა-ტარაკანი, — ეს ხომ გადონია, — ბებერი განდონი, რაღას უდგენართ, ესროლეთ, ესროლეთ ქვები! უუშენი! — და ამ შეძახილზე ყდალმა ტარაკანმა ბებერ განდონს ქვები დაუშინა. ამონიდებას პატიმართაგან ზოგიერთებმხარი აუბეს და მათაც დაუშინეს განდონ ქვები. თუმცა ვიღაც-ვიღაცები მალევე მოეგნენ გონს, ქვის სროლა შეწყვიტეს დასხვებსაც მოუწოდეს, ალარ ესროლათ გადონისთვის ქვები:

— რას შვრებით, ეს ხომ ჩვენი გადონია, ვერ ხედავთ?! ნახეთ, საიდან მ

დრო

რაც გაფლანგე, რაც მელის, ან რაც გავიარე.
 დრო —
 ის, რომელიც მახსოვს ახლა, ველოდი გუშინ.
 მაგრამ მის გარდა არის სხვა დროც —
 დრო უხსოვარი,
 დაბადებამდე რომ ავსებდა უხილავ სივრცეს.

გზადაგზა იყო ის წამები, მე რომ არ მახსოვს,
 მაგრამ ის ახსოვს
 დროს, სხეულში ღრმად ჩაბუდებულს.
 იმ დროს,
 რომელიც დღენიადაგ ისე დამყვება,
 რომ იშვიათად თუ შევამჩნევ მის არსებობას.
 იმ დროს,
 რომელიც ჩემშია და დასაბამიდან
 არსებულ ამბებს, დაძინებულს, თან დაატარებს.

მაგრამ ხანდახან გაიღვიძებს ხოლმე ისიც და
 მაშინ ხეებიც დროს ისხამენ მძიმე ნაყოფად.

და მერე
 მეც კურეფ, აღლვებით და გულმოდგინედ —
 მეშინია, რომ
 არ გამისხლტეს ისევ ხელიდან,
 მეშინია, რომ შეხებამდე არ გადამწიფდეს,
 არ დამეკარგოს,
 არ გამიქრეს, ან არ გამებნეს.

ჰოდა, კურეფ ფრთხილად და
 კალთაში ვწყობ სიტყვებად.

თითოეულს კი საკუთარი სუნი აუდის —
 ზოგს — გაოცების,
 ზოგს — სიმშეიდის, ან გულის წყვეტის,
 ზოგს სულაც — სევდის, სურვილის, ან
 აღფრთოვანების.
 და რადაც ყველას მაინც მუდამ ერთი აქცს ხოლმე —
 აღმოჩენის და
 ახლის სუნი, რასაც ყოველთვის
 დაყვება ხოლმე შიძის ოდნავ დამფრთხალი გემო.

ვიღებ კალთიდან
 ამ, სიტყვებად დაგროვილ ამბებს,
 ვიღებ ფრთხილად
 და სათაოდ, მერე ვარიგებ —
 ჯერ შენ გიამბობ, მერე სხვას და
 ბოლოს კი ყველას,
 რომ დაგაპუროთ უხსოვარი დროის ნატეხით.

მაგრამ გზადაგზა მახსოვრობა ისე ირევა,
 ისე გრძელდება გზა ჩემსა და თქვენსა სტენას შორის,
 რომ სანამ ახლოს
 მოვიტანდე, გზაში მეფშვნება
 და ნამცეცები მრჩება ხელში სიტყვების ნაცვლად.

ვბრუნდები უკან,
 მისალ-მისალ ვაგროვებ, მაგრამ
 იმ პირველსახეს ვერ ვუბრუნდებ მაინც ვერასდროს,
 ყველა სათქმელს და
 ყველა ამბავს,
 ყველა სიმრთელს
 ველარ ვალაგებ დროის წყვეტილ მონაკვეთებში.
 სიტყვის უმწეო ნამცეცები
 ხან ყრუ ბგერებად,
 ხან კი მარცვლებად ეფინება მეხსიერებას
 და როგორც თოვლი ამოავსებს ხოლმე ნაკვალევს,
 დროც
 დაედება საკუთარ თავს და მიჩუმდება.

ხვალ დავიწყებას მიეცემა ისევ ამბები —
 კვლავ ათასი წლით,
 ან მეტითაც.
 იქნებ ნაკლებით.



გვრცელები

„არ გვინია, რომ ამგვარ ადგილებში ერთგვარი პოეზია?
 განშორების მელაქოლია? შეხვედრების ლირიზმი?“
ფრედერიკ ბეგბედერი

მელაქოლია, ლირიზმი და სენტიმენტები
 ისე წაიღის ბოლო წლებმა,
 ალბათ ვერასდროს

ვერ დავიბრუნებთ

ვერც შენ,
 ვერც მე,

მითუმეტეს, აეროპორტი.
 აეროპორტი, სადაც ყველა არა ფრენისთვის,
 არამედ მხოლოდ გამგზავრების სურვილით მოდის.
 ადგილის შეცვლა,
 ცხოვრების შეცვლა — თუნდაც დროებით —
 სულ ესაა მგზავრის მიზანი.
 ის ხომ მგზავრია და არასდროს უცდია, ალბათ,
 რომ პოეზია დაენახა ამგვარ ადგილას.

შეხვედრები კი —

შეხვედრები იშვიათია.

ის ჰეგას ფილმებში უმოწყალოდ დაჩეხილ კადრებს —
 ოპერატორი, რეჟისორი, მსახიობები,
 ასისტენტების მთელი ჯგუფი
 და კიდევ ბევრი
 ისეთი ხალხი,
 ფუნქციები ვისიც არ ვიცით,
 საათობით რომ ამზადებენ, გადაიღებენ,
 მემონტაჟე კი
 ბოლოს ორ-სამ წამში ჩაატევს.

საკურებლები ადვეთ ფილმებს, ცხოვრებას — არა.
 ყოველდღიური შეგრძნებები უფრო მძაფრია,
 უფრო ძლიერი,
 უფრო მკეთრი, ალბათ — უსაფრთხოც.

იქნებ ამიტომ,
 სულ არ გვინდა, ერთად დალაგდეს
 ხელშესახბი, ნამდვილი და არარსებული,

გამგზავრება და დაბრუნება, ზოგჯერ — დაკარგვაც,
 აფრინის შიში, ან დაშვების შეუძლებლობა.

იქნებ ამიტომ,
 თავს ვარიდებთ ირეალურს და
 უფრო ვამუქებთ გულმოდგინედ უკვე არსებულ,
 სხვების ნაცხოვრებ სამყაროში საზღვრის კონტურებს.

იქნებ ამიტომ,
 სულ არ გვინდა, ის კონტურები
 გაიდღაბზოს და აირიოს, საზღვრებს გადასცდეს,
 გადაირეცხოს უეცარი წვიმით ან თოვლით.

გადაიშალოს ერთი ფრენით

ზუსტად ისევე,
 თვითმფრინავების ნაკვალევი რომ ფერმკრთალდება,
 როცა ძალიან პატარა ხარ და შენი ქუჩის,
 შენი აივის სიმაღლიდან ზეცას შეჰყურებ.

და გჯერა —
 ამ კვალს მფრინავები ტოვებენ განგებ,
 რომ სხვა მფრინავებს

გზის გაგნება გუადვილონ.

გჯერა და დაღდობ, რატომ ქრება ის თეთრი ზოლი,
 რატომ ვერ შეძლებს სხვა მფრინავი, იმ ბილიკს გაჰყვეს.

ამას რომ ვფიქრობ,
 ხანდახან და დროგამოშვებით,
